თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3824404

ნომერი: AR1575619

თარიღი : 06.02.2018

გაცემის თარიღი : 20.02.2018

გაცნობის თარიღი : 05.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დადიანის, ჩოდრიშვილის, და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვ.89/003) ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ყიფიანი პ/ნ 01036000272
- თბილისი რკინიგზის ქ. N 16 ბ. 27

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1575619 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.12.13.089.003 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობას და წარმოების დაწყების შემთხვევაში, ითხოვთ დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 08 ნოემბრის #3667206 ბრძანებით ქ. თბილისში, დადიანის, დარიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვ.89/003), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.12.13.089.003), შეთანხმდა შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი, გაიცა მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2018 წლის 16 იანვრის #3779118 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, შპს "რეტრო კონსთრაქშენ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.12.13.089.003), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

2018 წლის 17 იანვარს #AR1571063 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქეებმა მიხეილ გიორგობიანმა და ირაკლი ბარამიამ და მოითხოვეს ქ. თბილისში, #01.12.13.089.003 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2018 წლის 07 თებერვლის #3812947 ბრძნებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.